

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება**

**N 157**

**2005 წლის 12 სექტემბერი**

**ქ. თბილისი**

**ლგოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა –  
დეენილთა რეგისგრააციისა და სოციალური საკითხების,  
სახელმწიფო ფულადი შემწეობის, ჰუმანიტარული და  
სხვა სახის დახმარების გაცემის მოწესრიგების  
ღონისძიებათა შესახებ**

ლგოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დეენილთა რეგისგრააციის, მათი სოციალური საკითხების მოწესრიგების, ზოგიერთი პროცედურული საკითხის გამარ-გივების, ამ სფეროში სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობისა და ამ ორგანოთა თანამშრომლობის კოორდინაციის მიზნით “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად:

1. საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ე. ასტეემიროვა):

ა) დეენილთა და ლგოლვილთა რეგისგრააცია და შესაბამისი სტატუსის მინიჭება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს სახელმწიფო დაწესებულებებთან, უწყებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით. ამ მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებმა, უწყებებმა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა ხელი შეუწყონ საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროს დეენილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და ჩამორთმევის, შემწეობისა და სხვა სახის დახმარების გაცემისათვის, აგრეთვე ლგოლვილთა იდენტიფიცირებისათვის (პიროვნების დადგენა), ლგოლვილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და მოხსნის, კანონით მათთვის გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შეჩერებისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიება-მოპოვებაში;

ბ) დეენილთა რეგისგრააცია (მოწმობის გამოცვლა) განახორციელოს საამისოდ შექმნილი სპეციალური კომისიების მეშვეობით. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოსამსახურეებს, ხოლო პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მონიტორინგი;

გ) დეენილთა რეგისგრააცია (მოწმობის გამოცვლა) განახორციელოს საამისოდ შექმნილი კომისიებისათვის გადაცემული დეენილთა სიებისა და ახალი ნიმუშის მოწმობების მეშვეობით. დეენილის მოწმობის გამოცვლისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტრო;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით დეენილთა რეგისგრააციის (მოწმობის გამოცვლის) განხორციელების

შესახებ იმ კატეგორიის დევნილთათვის, რომლებიც რეგისტრაციის (მოწმობის გამოცვლის) განხორციელებისას იმყოფებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ;

ე) აწარმოოს დევნილთა ერთიანი რეესტრი, შეიმუშაოს დევნილთა ერთიანი რეესტრის წარმოების წესი და რეესტრის ფორმულარის ნიმუში;

ვ) დევნილთა რეესტრში არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნენ ის პირები, რომელთაც სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეუწყდათ, შეუჩერდათ ან ჩამოერთვათ დევნილის სტატუსი. იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ დევნილის სტატუსის მაძიებელ პირებს, დგება ცალკე სია;

ზ) უზრუნველყოს დევნილთათვის კანონით გათვალისწინებული ფულადი შემწეობისა და სხვა სახის დახმარების გამარტივებული პროცედურით შეუფერხებლად გაცემა. საამისოდ სამ თვეში შეიმუშაოს და მთავრობის სხდომაზე წარმოადგინოს წინადადებათა პაკეტი დევნილთათვის ფულადი შემწეობის გაცემის სფეროში ელექტრონული ბარათების სისტემის დანერგვის შესახებ;

თ) აწარმოოს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების აღწერა ობიექტის მესაკუთრესთან ან საამისოდ უფლებამოსილ პირთან ერთად; განახორციელოს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების მიზნობრივად გამოყენების მონიტორინგი; უზრუნველყოს კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა ორგანიზებულად განსახლების მიზნით შესასახლებელ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიის შედგენა და ობიექტის მესაკუთრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე ფართობის განაწილება და დევნილთა განსახლება. (18.10.2006 N190)

ი) დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის გაუმჯობესების, სახელმწიფოს მიერ ლიმიტს გემოთ გადახარჯვის შემცირებისა და კონგროლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან ერთად გამართოს მოლაპარაკება სააქციო საზოგადოება "ეი-ი-ეს თელასთან" დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების განმხოლოება-გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების განმხოლოებისას საანგარიშსწორებო მრიცხველების უშუალოდ დევნილთა განსახლების ობიექტებში დამონტაჟებას;

კ) შეიმუშაოს და მთავრობის სხდომაზე წარმოადგინოს წინადადებები დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში ელექტრომეურნეობის დაცვისა და კონგროლისათვის პასუხისმგებელი პირის (პირების) კომპაქტურად განსახლების ობიექტებში ჩასახლებულ დევნილთაგან შერჩევასთან დაკავშირებით; საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და სააქციო საზოგადოება "ეი-ი-ეს თელასთან" ერთად მოახდინოს ელექტრომეურნეობის დაცვისა და კონგროლისათვის პასუხისმგებელი პირის (პირების) პასუხისმგებლობის ფარგლების, ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა ხელშეკრულების საფუძველზე;

ლ) ელექტრომეურნეობის დაცვისა და კონგროლისათვის პასუხისმგებელი პირისაგან (პირებისაგან) პერიოდულად მოითხოვოს ინფორმაცია ელექტროენერჯის აღრიცხვის საშუალებებისა და მთლიანად ელექტრომეურნეობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია დევნილთა მიერ გახარჯული ელექტროენერჯის ოდენობის შესახებ.

მ) უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დევნილთა დახმარების ფონდიდან დახმარების გაცემის პირობებისა და წესის შემუშავება და

დამტკიცება. (18.10.2006 N190)

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ვ. ჭიპაშვილი):

ა) შეისწავლოს უკიდურეს სიღატაკეში მყოფ ღვენილთა ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების შესაძლებლობა სათანადო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ღვენილთა ამ კატეგორიისათვის განკუთვნილი პროგრამების მისამართულობის გაზრდის მიზნით;

ბ) უზრუნველყოს უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ოჯახისათვის მინიჭებული სარეგიონგო ქულის სათანადო შეწონვა ღვენილობის სტატუსიდან გამომდინარე;

გ) განიხილოს უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ღვენილთა ბავშვებისათვის მიზნობრივი პროგრამების შემუშავების შესაძლებლობა.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (კ. კემულარია):

საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გადაცემული ღვენილისა და ლგოლვილის სტატუსის მქონე პირთა შესახებ ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე სისტემატურად მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროს იმ ღვენილის (ღვენილთა) შესახებ, რომელსაც კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, გარდაიცვალა ან სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად, ლგოლვილის სტატუსის მქონე იმ პირის (პირების) შესახებ, რომელმაც მიიღო საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა.

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ი. ჩოგოვაძე):

უზრუნველყოს, რომ იმ შენობების პრივატიზაციის დროს, რომლებშიც იმყოფებიან კომპაქტურად განსახლებული ღვენილები, გათვალისწინებულ იქნეს "იძულებით გადაადგილებულ პირთა – ღვენილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით ღვენილთათვის მინიჭებული სახელმწიფო გარანტიები და მათი გამოყვანა განხორციელდეს მითითებული ნორმებით გათვალისწინებული წესების დაცვით. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებშიც ღვენილები იმყოფებიან უკანონოდ.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (ა. ლომაია):

ა) უზრუნველყოს ღვენილი მოსახლეობისათვის განათლების დარგში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დაშვებული შეღავათების რეალიზაცია;

ბ) "იძულებით გადაადგილებულ პირთა – ღვენილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესასრულებლად საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ორ თვეში შეიმუშაოს პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამა ღვენილი მოსახლეობის იმ კატეგორიისათვის, რომელიც ვერ დასაქმდა მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

6. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ (ნ. გილაური):

ა) ამ დადგენილების პირველი პუნქტის “ი”, “კ” და “ლ” ქვეპუნქტების შესრულების ხელშეწყობისათვის, აგრეთვე დევნილთათვის ელექტროენერჯის სტაბილური მიწოდებისა და დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების დროულად ანაზღაურების მიზნით საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად გამართოს მოლაპარაკება სს “ეი-ი-ეს თელასთან” მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ელექტრომომწობილობების მომსახურებაზე ინდივიდუალური მხარეების საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით;

ბ) საქართველოს რეგიონებში არსებულ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში ელექტროენერჯის მოხმარების აღრიცხვიანობის გაუმჯობესებისა და დახარჯული ელექტროენერჯის რეალური ოდენობის დადგენის, ასევე ამ სფეროში მონეტიმაციის სისტემის დანერგვის მიზნით ხელი შეუწყოს ამ ობიექტების გამრიცხველიანებას.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (მ. სვიმონიშვილი):

ა) უზრუნველყოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დევნილთა და/ან ლგოლვილთა დახმარებისათვის ორგანიზებული პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების დროული და შეუფერხებელი გაცემა;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებულ ახალ პროგრამებსა და პროექტებში მაქსიმალურად გაითვალისწინოს დევნილთა და ლგოლვილთა ინტერესები და მიიღოს ზომები ამ პროგრამებსა და პროექტებში დევნილი მოსახლეობისა და ლგოლვილის სტატუსის მქონე პირთა ჩართვისათვის.

8. სამინისტროებმა ჰუმანიტარული დახმარების სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას პრიორიტეტი მიანიჭონ დევნილ და სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

9. ეთხოვით საქართველოს პრემიერის სახელმწიფო რწმუნებულებს, ქალაქების მერიებსა და რაიონების გამგეობებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დევნილთა პრობლემებს და მათი გადაჭრის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლონ საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, მის ტერიტორიულ ორგანოებთან, სხვა სამინისტროებსა და სახელმწიფო დაწესებულებებთან;

ბ) დევნილთა პრობლემების გადასაჭრელად კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ გადაწყვეტილებები და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

გ) კომპეტენციის ფარგლებში თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული გამოუყენებელი, საცხოვრებლად ვარგისი შენობების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროს და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს;

დ) კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ ზომები ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობისათვის.

10. ეთხოვოს შპს “საქართველოს რკინიგზას” (დ. ონოფრიშვილი):

მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში დევნილებისათვის დააწესოს რკინიგზის გრანსპორტით სარგებლობის შეღავათიანი ტარიფები და შეიმუშაოს ამ შეღავათებით სარგებლობის კონკრეტული მექანიზმი.

11. ეთხოვით თბილისის მერიასა და შპს “თბილისის მეტროპოლიტენს” მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში დევნილებისათვის დააწესონ თბილისის

მეგროპოლიტენითა და მიწისზედა ტრანსპორტით სარგებლობის შეღავათიანი პირობები და შეიმუშაონ ამ შეღავათებით სარგებლობის კონკრეტული მექანიზმი.

12. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*გურაბ ნოღაიდელი*